

**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2018-2024 წ.წ.)**

№	მიზანი	აქტივობა	ვადა	პასუხისმგებელი პირი	ფინანსური უზრუნველყოფა
1	ფაკულტეტის მართვის ხარისხის გაუმჯობესება	ფაკულტეტის თითოეული ერთეულის ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა; მიზნების, ამოცანების და კომპეტენციათა კორექტირება, პერსონალური მოვალეობების სრულყოფილი აღწერა; სტრუქტურული ერთეულების დებულების დახვეწა; მონიტორინგის სისტემის ეფექტიანად გამოყენება	2018-2024	დეკანატი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; მენეჯერის სამსახური; აკადემიური დეპარტამენტები.	დაფინანსებას არ საჭიროებს
2	ფაკულტეტის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა და მისი განვითარება	ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენება ფაკულტეტის მართვის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში; ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების შერჩევა და მოზიდვა, მათი ფინანსური მოტივირება; აკადემიური და დამხმარე პერსონალის რაოდენობრივი დაგეგმვის გაუმჯობესება. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ორგანიზება. პროფესორ-მასწავლებლების მიერ შექმნილი ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსების გაზრდა; ტრენინგების, სასერტიფიკატო კურსების და კონფერენციების ორგანიზება; პროფესორთა სამეცნიერო მივლინებების დაფინანსების გაზრდა; ზრუნვა ღვაწლმოსილ პროფესორებზე (ემერიტუსის ინსტიტუტის გამოყენება).	2018-2024	დეკანატი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მენეჯერის სამსახური; აკადემიური დეპარტამენტები.	ფაკულტეტის ბიუჯეტი
3	ფაკულტეტის ფინანსური რესურსების განვითარება	ფაკულტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და განაწილების ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება; ფაკულტეტის ბიუჯეტის მართვის მეტი გამჭვირვალობისა და მასში აქტიური მონაწილეობის გაზრდა, როგორც პროფესორების, ისე სტუდენტების	2018-2024	დეკანატი; მენეჯერის სამსახური.	ფაკულტეტის ბიუჯეტი

		მხრიდან, ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა(ვებგვერდზე განთავსება); ფაკულტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში პროფესორთა და სტუდენტთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.			
4	სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა და მისი მართვა	ფაკულტეტზე ყოველწლიური მისაღები კონტინგენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა; ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული ადგილების შედარებითი ანალიზი; დამსაქმებლებთან აქტიური მუშაობა და შრომითი ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლა; “ღია კარის დღის” ორგანიზება; პიარკომპანიის წარმოება.	2018-2024	დეკანატი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მენეჯერის სამსახური; აკადემიური დეპარტამენტები.	ფაკულტეტის ბიუჯეტი
5	სტუდენტებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნა	ფაკულტეტის მართვის პროცესში დებულების შესაბამისად სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა; სტუდენტთა ჩართულობის ამაღლება საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა-დახვეწის პროცესში; სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის რაოდენობრივი ზრდა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებზე ზრუნვა; წარჩინებულ სტუდენტთა წახალისება; მჭიდრო კავშირის დამყარება თითოეულ სტუდენტთან მათი პრობლემების გადაჭრის მიზნით; უცხოელი სტუდენტების დახმარება ადგილობრივ გარემოში ადვილად ინტეგრირების მიზნით; სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება; სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის შენარჩუნება და განვითარება; სახელმწიფო და არასახელმწიფო, კერძო სექტორთან ხელშეკრულების გაფორმება, სტუდენტთა პრაქტიკისა და დასაქმების მიზნით; სტუდენტთა სპორტული, სახელოვნებო, შემოქმედებითი აქტივობის დაფინანსება; სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლება მობილობის, შეფასების სისტემასა და მასთან	2018-2024	დეკანატი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მენეჯერის სამსახური; აკადემიური დეპარტამენტები.	ფაკულტეტის ბიუჯეტი

		დაკავშირებული რეგულაციის შესახებ.			
6	ბოლონის კონვენციის შესაბამისად უწყვეტობის პრინციპებზე დაფუძნებული სწავლება, ჰუმანიზაციის კონცეფციის, სწავლისა და სწავლების მიმართ შემოქმედებითი მიდგომა	აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით საგანმანათლებლო (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება; სასწავლო პროგრამების მოქნილობა და განვითარების პროცესის ხელშეწყობა, რაც შრომის ბაზარზე იქნება ორიენტირებული; უცხოენოვანი პროგრამების მომზადება და განხორციელება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის მიზნით; სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი; აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების აზრის მუდმივი გამოკითხვა და მათ წინადადებებზე რეაგირება საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.	2018-2024 წწ.	დეკანი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; მენეჯერი	დაფინანსებას არ საჭიროებს
7	სამეცნიერო კვლევების გაძლიერება, ფინანსური წყაროების მოზიდვა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; ინოვაციური პროექტების ფონდის განვითარება	ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გაწეული საქმიანობის (სამეცნიერო, კვლევითი, საგრანტო და ა. შ.) ანალიზი და ასახვა ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში; ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების ანალიზი და შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობა და ასახვა ფაკულტეტის ბიუჯეტში; საბიბლიოთეკო ფონდების განვითარება; ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა და შექმნა; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის ხელშეწყობა; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (მათ შორის, სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის, რაოდენობის, სილაბუსებთან შესაბამისობის) პერიოდული გადა-	2018-2024	დეკანი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; მენეჯერი	ფაკულტეტის ბიუჯეტი

		მოწმება.			
8	სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიების მუდმივად განახლებადი და განვითარებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის უზრუნველყოფა	<p>ახალი ლაბორატორიული მოწყობილობების, სათანადო მასალების, ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და ინვენტარის, საკანცელარიო და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნივთებისა და მოწყობილობა - დანადგარების შეძენა;</p> <p>ახალი კომპიუტერების, პროექტორების, „ჭკვიანი“ დაფების, საოფისე ტექნიკის შეძენა;</p> <p>ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების სათანადო კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე ინვენტარით აღჭურვის გაუმჯობესება;</p> <p>ლოგისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნა;</p> <p>სამაცივრო სისტემებში შვეიცარიულ ფირმა “DAMPO”-სთან ერთობლივი საწარმოს მოწყობა ფაკულტეტის სააუდიტორო ფონდის სათანადო კომპიუტერული ტექნიკითა, სასწავლო მაგიდებითა და საოფისე ინვენტარით აღჭურვის გაუმჯობესება.</p>	2018-2024	დეკანი მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	ფაკულტეტის ბიუჯეტი